



**სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და  
საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის შენობათა  
კომპლექსის პროექტი**

**საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების ტექნიკური ანგარიში**

**№029004-2012/03/3**

**თბილისი  
2012**

## სარჩევი

|                                                                                                                   |      |
|-------------------------------------------------------------------------------------------------------------------|------|
| შესავალი -----                                                                                                    | 2    |
| 1. ზოგადი ნაწილი -----                                                                                            |      |
| 1.1. კლიმატი, გეომორფოლოგია, გეოლოგიური აგებულება,<br>ჰიდროგეოლოგიური პირობები-----                               | 2    |
| 2. სპეციალური ნაწილი -----                                                                                        | 3    |
| 2.1. გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებები -----                                                                 | 3    |
| 3. დასკვნები და რეკომენდაციები -----                                                                              | 7    |
| დანართები                                                                                                         |      |
| ტექნიკური დავალება -----                                                                                          | 1 ფ. |
| გრუნტების ლაბორატორიული კვლევების კრებსითი ცხრილი-----                                                            | 1 ფ  |
| გრუნტის გამოცდა ჭრაზე -----                                                                                       | 3 ფ  |
| გრუნტის გამოცდა კომპრესიაზე -----                                                                                 | 2 ფ  |
| გრუნტის გამოცდა გაჯირჯევაზე -----                                                                                 | 2 ფ  |
| ფენა №3 და №4-ის სიმტკიცის და დეფორმაციის მახასიათებლების ნორმატიული<br>მნიშვნელობების განსაზღვრის შედეგები ----- | 1 ფ  |
| წყლის ქიმიური ანალიზი -----                                                                                       | 6 ფ  |
| უბნის გეგმა -----                                                                                                 | 1 ფ  |
| ჭაბურღილების გეოლოგიურ-ლითოლოგიური სვეტები -----                                                                  | 6 ფ  |
| საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილები -----                                                                                | 3 ფ  |

## შესავალი

სსიპ ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის და სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს შორის გაფორმებული ხელშეკრულების №2-005313-2012 საფუძველზე, სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს საინჟინრო ექსპერტიზის დეპარტამენტმა ჩატარა საინჟინრო-გეოლოგიური საგამოკვლევო სამუშაოები, ქობილისში კახეთის გზატკეცილზე, ალექსეევკის №3 სამხედრო დასახლებაში არსებული ცენტრის ტერიტორიაზე “ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი”-ს შენობათა კომპლექსის დაფუძნების პირობების დადგენის მიზნით.

დავალების თანახმად, დასაპროექტებელია: ხუთსართულიანი ადმინისტრაციული შენობა სარდაფით, ზომებით: 22X27 მ, ერთსართულიანი სასაწყობო შენობა 42X30 მ, ერთსართულიანი ლოჯისტიკის შენობა 12X28 მ, ერთსართულიანი დაცვის პოლიციის შენობა 6X14 მ. შენობის ტიპი მონოლითური ჩონჩხედი ბლოკის შევსებით, დატვირთვა საძირკვლებზე 200კნ/მ. საძირკვლის ტიპი – გეოლოგიური პირობებიდან გამომდინარე. შენობის კლასი პასუხისმგებლობის მიხედვით II.

საველე სამუშაოების დაწყებამდე მოძიებულ იქნა ყოფილი “საქგეოლოგიის” მიერ ამ რაიონში ადრე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების მასალები. უბნის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების შეფასების მიზნით, დათვალიერებული იქნა მისი მიმდებარე ტერიტორია, ხოლო უბნის გეოლოგიური ჭრილის დასადგენად და ლაბორატორიული კვლევებისათვის ნიმუშების ასაღებად გაყვანილია 6 ჭაბურღილი, საერთო სიღრმით 45.0 გრძ.მ. აქედან ხუთსართულიანი შენობის კონტურში სამი 10 მეტრიანი, დანარჩენ ერთსართულიან ნაგებობებზე კი თითო 5 მეტრიანები. ბურღვით სამუშაოებს და გეოლოგიური ჭრილის აღწერას აწარმოებდა შ.პ.ს. “გეოტექსერვისი” სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. ბურღვა მიმდინარეობდა საბურღი აგრეგატის ურბ-2-ის გამოყენებით, მშრალად, მექანიკურ-სვეტური მეთოდით, შემოკლებული რეისებით. ბურღვის დროს ხდებოდა ფენების დასინჯვა: აღებული იქნა 8 დაურღვეველი და 4 დარღვეული სტრუქტურის გრუნტის ნიმუში, აგრეთვე წყლის 3 სინჯი, რომლებზეც ჩატარდა შესაბამისი კვლევები: გრუნტების - საინჟინრო ექსპერტიზის გეოტექნიკის ლაბორატორიაში, წყლების კი შ.პ.ს. “გეოტექსერვისი”-ს წყლისა და გრუნტების კვლევების ლაბორატორიაში. საველე მასალების კამერალური შესწავლა და დამუშავება შესრულებულია საინჟინრო ექსპერტიზის დეპარტამენტის ექსპერტ-გეოლოგის მიერ. ჭაბურღილების გეგმურ-სიმაღლითი მიბმა კი განხორციელდა “დამკვეთის” მიერ გადმოცემული 1:500 მასშტაბის ტოპო გეგმის მიხედვით. საველე სამუშაოების დამთავრების შემდეგ ჭაბურღილები ამოივსო ნაბურღი მასალით.

საველე სამუშაოების და ლაბორატორიული კვლევების მონაცემების საფუძველზე, ჩვენს მიერ შედგენილია წინამდებარე დასკვნა, რომელშიც გამოყენებულია ამ რაიონის ტერიტორიაზე არსებული ზემოთხსენებული საფონდო მასალები. კვლევები ჩატარებულია და დასკვნა შედგენილია საქართველოში ამჟამად მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების (სამშენებლი წესების და ნორმები) მოთხოვნების შესაბამისად – ს.ნ. და წ. 1.02.07-87 (საინჟინრო გამოკვლევები მშენებლობისათვის), პნ 02.01-08 (შენობების და ნაგებობების ფუძეები), პნ 01.01-09 (სეისმომდებელი მშენებლობა), სახსტანდარტი 25100-82 (გრუნტები). პნ 01.05.-08 (სამშენებლო კლიმატოლოგია)

საინჟინრო გეოლოგიური კვლევები ჩატარდა 2012 წლის აგვისტოში.

## 1. ზოგადი ნაწილი

### 1.1. გეომორფოლოგია, გეოლოგიური აგებულება და ჰიდროგეოლოგიური პირობები

**კლიმატი.** უბნის კლიმატური მახასიათებლები აღებულია სამშენებლო კლიმატოლოგიის ცხრილებიდან, პუნქტ თბილისი-აეროპორტის მიხედვით. (სიმაღლე ზღვის დონიდან 490 მ) სამშენებლო კლიმატური დარაიონების მიხედვით გამოკვლეული უბანი განეკუთვნება III-გ ქვერაიონს. უბანზე ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურაა  $12.9^{\circ}\text{C}$ . ყველაზე ცივი თვე იანვარია, აბს. მინიმუმით  $-23^{\circ}\text{C}$ . ყველაზე ცხელი თვე აგვისტო აბს. მაქსიმუმით  $40^{\circ}\text{C}$ . მოსული ნალექების წლიური ჯამია 540 მმ. თოვლის საფარის წონა 0.5 კპა. უბანზე საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობაა 67 %, ყველაზე ცივი თვის 19%, ყველაზე ცხელი თვის 26%. წლის განმავლობაში უბანზე ძირითადად განვითარებულია ჩრდილო-დასავლეთის (80/62) ქარები. ქარის წნევის ნორმატიული მნიშვნელობები 5 და 15 წელიწადში ერთხელ შეადგენს 1.05 და 1.44 კპა-ს. ქარის ყველაზე დიდი შესაძლო სიჩქარე ყოველწლიურად 33 მ/წმ, 5 წელიწადში ერთხელ 41, 10 წელიწადში ერთხელ 45 მ/წმ, 15 წელიწადში ერთხელ 47 მ/წმ, 20 წელიწადში ერთხელ 48 მ/წმ. გრუნტის სეზონური გაყინვის ნორმატიული სიღრმე 0.

**გეომორფოლოგია.** გეომორფოლოგიური თვალსაზრისით გამოკვლეული უბანი განლაგებულია ნავთლუდი-ორხევის ვაკეზე, რომელიც მდ. ლოჭინის მარჯვენა სანაპირომდე ვრცელდება. ვაკის ზედაპირი მდ. მტკვრისაკენ (სამხრეთით) არის დახრილი. მისი მაქსიმალური სიგრძე 10 კმ-ს აღწევს, სიგანე კი 6 კმ-ს. ვაკის სიმაღლე ჩრდილოეთ ნაწილში 600 მეტრამდეა, სამხრეთში კი 400 მ. მშენებლობისათვის განკუთვნილი ტერიტორია ხელოვნურად მოსწორებულ, ტექნოგენურ რელიეფზეა განთავსებული. ტერიტორია ნაწილობრივ დაფარულია ასფალტის თხელი ფენით, ნაწილობრივ კორდით. უბანზე და მის მიმდებარედ საშიში გეოდინამიკური პროცესების დამახასიათებელი ფორმები არ აღინიშნება. ტერიტორია გამოირჩევა მდგრადობის მაღალი ხარისხით, რომელიც მომავალშიც იქნება შენარჩუნებული. უბნის აბსოლუტური ნიშნულები 511.6 – 517.2 მ-ია.

**გეოლოგიური აგებულება.** ტექტონიკური თვალსაზრისით ტერიტორია მოთავსებულია კრწანისის სინკლინის თითქმის თალურ ნაწილში, რის გამო ძირითადი ქანები უმნიშვნელოდ არიან დახრილნი. თვით სინკლინის ღერძი თავისი განვითარების ამ ნაწილში პერპენდიკულარულია მდ. მტკვრის ჭალისზედა II ტერასისა. ტერიტორია აგებულია ზედა ეოცენური ასაკის ე.წ. “ნავთლუდის წყების” ქვიშაქვებით და არგილიტებით. ქვიშაქვები ღია ნაცრისფერი, ალაგ-ალაგ მოცისფრო, თიხოვან ცემენტზე, წვრილი და საშუალო მარცვლოვანი, თხელშრებრივი. არგილიტები მოყვითალო – მოყავისფრო, ფირფიტისებური აღნაგობის, თხელშრებრივი. ისინი ქვიშაქვებთან ურთიერთმონაცვლეობენ, მათი თანაფარდობა გეოლოგიურ ჭრილში 50 : 50 – ია. ქანების დახრის აზიმუტი ჩა  $70^0$ , დახრის კუთხე კი  $10^0$  –  $12^0$  ია. აღნიშნული ლითოლოგიური სახესხვაობები გეოლოგიური ჭრილის ზედა ნაწილში ინტენსიურად გამოფიტული, სახეშეცვლილი და გათიხებულია. მათში აღინიშნება მცირე ზომის (3 სმ – მდე) ძირითადი ქანის ნატეხური მასალა. ზემოაღნიშნული ლითოლოგიური სახესხვაობები დაფარულია მეოთხეული ასაკის მდ. მტკვრის ჭალისზედა II ტერასის ალუვიური კენჭნარით, დელუვიურ-პროლუვიური თიხნარებით და ტექნოგენური გრუნტით. საფარი ქანების ჯამური სიმძლავრე უბანზე საფონდო მონაცემებით 20 მეტზე მეტია.

**ჰიდროგეოლოგიური პირობები.** გრუნტის წყლების ფორმირება, მოძრაობა და გავრცელება განისაზღვრება მდ. მტკვრის II ტერასის გეომორფოლოგიური პირობებით და უბნის გეოლოგიური აგებულებით. გრუნტის წყლები ჩვენს მიერ გაბურღილმა სამმა ჭაბურღილმა ( $\text{№№3, 4 და 5}$ ) გახსნა 6.8 - 8.5 მ სიღრმეზე

დედამიწის ზედაპირიდან. დამყარებული ღონეები 7.0 - 8.6 მ – ზე დაფიქსირდა (08.08.12). წყლები ქიმიური შედგენილობის მიხედვით სულფატურ-ნატრიუმ-კალციუმიანია, ან ჰიდროკარბონატულ-სულფატურ კალციუმ-ნატრიუმიანია (ჭ. №5). საერთო მინერალიზაციით 2.0 - 2.2 გ/ლ. წყალი საშუალოდ აგრესიულია სახ.სტანდარტის 10178-76 პორტლანტცემენტზე დამზადებული წყალშეუღწევადი W<sub>4</sub> მარკის ბეტონის მიმართ. სუსტად აგრესიულია W<sub>6</sub> და W<sub>8</sub> მარკის ბეტონის მიმართ. არ არის აგრესიული სახ. სტანდარტის 10178-76 პორტლანტცემენტზე კლინკერში C<sub>3</sub>S არა უმეტეს 65%, C<sub>3</sub>A არა უმეტეს 7%, C<sub>3</sub>A+C<sub>4</sub>AF არა უმეტეს 22% და წიდაპორტლანტცემენტზე დამზადებული W<sub>4</sub>, W<sub>6</sub> და W<sub>8</sub> მარკის წყალშეუღწევადი ბეტონების მიმართ. არ არის აგრესიული არმატურის მიმართ რკინა-ბეტონის კონსტრუქციების მუდმივი დაძირვის დროს, სუსტად აგრესიულია პერიოდულად დასველების დროს. წყალი სანიტარულად დაბინძურებულია.

## 2. სპეციალური ნაწილი

უბნისა და მის მიმდებარე ტერიტორიის დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ საშიში გეოლოგიური პროცესების განვითარების კვალი არ აღინიშნება, უბანი მდგრადია და მშენებლობისათვის "დამაკმაყოფილებელ" საინჟინრო-გეოლოგიურ პირობებში იმყოფება, ხოლო თავისი გეომორფოლოგიური, გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური პირობებიდან გამომდინარე, თანახმად ს.ნ. და წ. 1.02.07.-87-ის მიხედვით განეკუთვნება II (საშუალო) სირთულის საინჟინრო-გეოლოგიურ კატეგორიას. გაყვანილი ჭაბურღილების და ლაბორატორიული კვლევების მონაცემების საფუძველზე უბანზე გამოყოფილია 4 ფენა: ფენა №1 – ნაყარი გრუნტი, ფენა №2 თიხნარი, კენჭების იშვიათი ჩანარებით, ფენა №3 თიხნარი, ხრეშის და კენჭების ჩანარებით 30-35 % და ხრეშის შუაშრებით, ფენა №4 – ხრეშოვანი გრუნტი თიხნარის შემაკვებლით. ქვემოთ მოყვანილია ამ ფენების დახასიათება.

### 2.1. გრუნტების ფიზიკურ - მექანიკური თვისებები

ფენა №1 ნაყარი გრუნტი - tQ<sub>IV</sub> –განლაგებულია ტერიტორიაზე ფრაგმენტულად, ჭაბ №1 და №6 – ის ირგვლივ პირველი ფენის სახით. წარმოდგენილია თიხნაროვანი მასით - ხრეშის, ხვინჯის, კენჭების და სამშენებლო ნაგვის ნარჩენების ჩანარებით. ფენა ნაწილობრივ დაფარულია ასფალტის თხელი შრით. ფენა არ დასინჯულა. ფენის სიმკვრივე ρ საფონდო მონაცემების მიხედვით შეადგენს 1,8 გ/სმ<sup>3</sup>. ფენა უწყლოა, ფენის თვითშემკვრივების პროცესი დამთავრებულია მისი ხანდაზმულობის გამო.

ფენა №2 თიხნარი dQ<sub>IV</sub>–განლაგებულია პირველი ან მეორე ფენის სახით. გახსნილია ყველა ჭაბურღილში, 0.0–0.5 მ სიღრმიდან. წარმოდგენილია მუქი ყავისფერი, კარბონატული თიხნარებით (I<sub>p</sub>=15.5), მცენარეული ფესვების, კენჭების და “თეთრთვალას” ბუდობების იშვიათი ჩანარებით. კონსისტენციის მიხედვით ნახევრადმყარი (I=0,1). ფენა დასინჯულია დაურღვეველი სტრუქტურის გრუნტის 6 ნიმუშით, რომლთა

ფიზიკურ-მექანიკური თვისებების ნორმატიული მაჩვენებლები მოყვანილია ცხრილ 1-ში, ხოლო ლაბორატორიული კვლევების შედეგები კრებსით ცხრილში.

ცხრილი 1

| №  | ფიზიკურ-მექანიკური თვისებების დასახელება | ინდექსი   | განზ. ერთ.         | ბუნებრივი |
|----|------------------------------------------|-----------|--------------------|-----------|
| 1  | სიმკვრივე                                | $\rho$    | გ/სმ <sup>3</sup>  | 1.91      |
| 2  | მშრალი გრუნტის სიმკვრივე                 | $\rho_d$  | გ/სმ <sup>3</sup>  | 1.61      |
| 3  | გრუნტის ნაწილაკების სიმკვრივე            | $\rho_s$  | გ/სმ <sup>3</sup>  | 2.70      |
| 4  | ბუნებრივი ტენიანობა                      | W         | %                  | 19.1      |
| 5  | ფორიანობა                                | n         | %                  | 40.4      |
| 6  | ფორიანობის კოეფიციენტი                   | e         | ერთ. ნაწ.          | 0.683     |
| 7  | ტენიანობა დენადობის ზღვარზე              | $W_l$     | ერთ. ნაწ.          | 0.33      |
| 8  | ტენიანობა პლასტიკურობის ზღვარზე          | $W_p$     | ერთ. ნაწ.          | 0.18      |
| 9  | პლასტიკურობის რიცხვი                     | $I_p$     | ერთ. ნაწ.          | 0.15      |
| 10 | დენადობის ზღვარი                         | $I_L$     | ერთ. ნაწ.          | 0.1       |
| 11 | ტენიანობის ხარისხი                       | Sr        | ერთ. ნაწ.          | 0.76      |
| 12 | შიგა ხახუნის კუთხე                       | $\varphi$ | გრად               | 18        |
| 13 | ხვედრითი შეჭიდულობა                      | C         | კგ/სმ <sup>2</sup> | 0.26      |
| 14 | დეფორმაციის მოდული                       | E         | კგ/სმ <sup>2</sup> | 141       |
| 15 | საანგარიშო წინაღობა                      | $R_0$     | კგ/სმ <sup>2</sup> | 2.5       |

გრუნტებისათვის სიმტკიცის მახასიათებლები განისაზღვრა “კონსოლიდირებული ძვრის” სქემით, უწყლო გარემოსათვის 3 ცდით. 2 ცდით შესწავლილი იქნა გრუნტების კომპრესიული თვისებები (ლაბორატორიული კვლევების გრაფიკები, როგორც ძვრაზე ისე კომპრესიაზე, მოყვანილია დანართებში). ეს უკანასკნელი შესწავლილია ერთი მრუდის მეთოდით, საფეხურებრივი დატვირთვით 1.0 კგ/სმ<sup>2</sup> ინტერვალით 3,0 კგ-მდე. 2.0 კგ-ზე მას მიეწოდა წყალი ჯდომადი თვისებების შესწავლის მიზნით. გამოცდამ აჩვენა, რომ თიხნარები წყალზე სუსტად რეაგირებენ. ჩაჯდომის მოდული  $I_p$  დასველების შემდეგ შეიცვალა 2 კგ/სმ<sup>2</sup> ინტერვალში 34 დან 46 მმ/მ, ფარდობითი ჯდომადობა  $ESI$  0,004 – 0.008 ის ფარგლებშია, რაც თიხნარების არაჯდომად ხასიათზე მიუთითებს. კუმშვადობის დასადგენად განისაზღვრა შემკვრივების კოეფიციენტი  $a$ , რომელიც 1 - 2 კგ/სმ<sup>2</sup> დატვირთვისას 0,007-0.008 სმ<sup>2</sup>/კგ-ის ტოლია, რაც პროფ. მასლოვის კლასიფიკაციით თიხნარს საშუალო კუმშვადობის მქონე გრუნტებს განაკუთნებს. ფენის გრუნტები ხასიათდებიან ჯირჯვადი თვისებებით: ფარდობითი გაჯირჯვება  $E_{sw}=0.18$  ტოლია, ხოლო გაჯირჯვების წნევა  $P_{sw}= 0.3$  კგ/სმ<sup>2</sup>-ია. ფენის სიმძლავრე 0.5-1.8 მეტრია. ფენა უწყლოა. საანგარიშო წინაღობა აღებულია სნ. და წ. 2.02.01-83 ცხრილის მიხედვით და შესწორებულია ორმაგი ინტერპოლაციის მეთოდით შესაბამისი ფორმულის გამოყენებით.

ფენა №3 თიხნარი, ხრეშის და კენჭების ჩანართებით, (მცირე სიმძლავრის 0.7 მ-მდე) ხრეშის და კენჭნარის შუაშრებით  $apQ_{IV}$  – გავრცელებულია მეორე, მესამე და მეოთხე ფენის სახით 1.2 მ დედამიწის

ზედაპირიდან. ფენა გამოირჩევა ზრეშოვანი გრუნტის და თიხნარის რთული ურთიერთმონაცვლეობით: მცირე სიმძლავრის ზრეშოვანი გრუნტის შუაშრეები ისოლებიან თიხნარებში და ფენის მთლიანობა ვერტიკალურ ჭრილში დარღვეულია. მთლიანობაში ფენა წარმოდგენილია ლიფავისფერი, კარბონატული თიხნარით ( $I_p=0.14$ ), კონსისტენციის მიხედვით მყარი ( $I_r<0$ ). ფენა დასინჯულია დაურღვეველი სტრუქტურის გრუნტის 3 ნიმუშით, რომლის ფიზიკურ-მექანიკური თვისებების საანგარიშო მაჩვენებლები მოყვანილია ცხრილ 2-ში, ხოლო ლაბორატორიული კვლევების შედეგები კრებსით ცხრილში.

ცხრ 2

| №  | ფიზიკურ-მექანიკური თვისებების დასახელება | ინდექსი        | განზ. ერთ.          | ფენა №3 |
|----|------------------------------------------|----------------|---------------------|---------|
| 1  | სიმკვრივე                                | $\rho$         | გ/სმ <sup>3</sup>   | 1.94    |
| 2  | მშრალი გრუნტის სიმკვრივე                 | $\rho_d$       | გ/სმ <sup>3</sup>   | 1.64    |
| 3  | გრუნტის ნაწილაკების სიმკვრივე            | $\rho_s$       | გ/სმ <sup>3</sup>   | 2.7     |
| 4  | ბუნებრივი ტენიანობა                      | W              | %                   | 18.7    |
| 5  | ფორიანობა                                | n              | %                   | 39.2    |
| 6  | ფორიანობის კოეფიციენტი                   | e              | ერთ.ნაწ             | 0.661   |
| 7  | ტენიანობა ხარისხი                        | Sr             | ერთ.ნაწ             | 0.736   |
| 8  | ტენიანობა დენადობის ზღვარზე              | W <sub>L</sub> | ერთ. ნაწ.           | 0,346   |
| 9  | ტენიანობა პლასტიკურობის ზღვარზე          | W <sub>p</sub> | ერთ. ნაწ.           | 0,206   |
| 10 | პლასტიკურობის რიცხვი                     | I <sub>p</sub> | ერთ. ნაწ.           | 0.14    |
| 11 | დენადობის ზღვარი                         | I <sub>L</sub> | ერთ. ნაწ.           | <0      |
| 12 | შიგა ხახუნის კუთხე                       | $\varphi_n$    | გრად.               | 21      |
| 13 | ხვედრითი შეჭიდულობა                      | C <sub>n</sub> | კგმ/სმ <sup>2</sup> | 0.18    |
| 14 | დეფორმაციის მოდული                       | E              | კგმ/სმ <sup>2</sup> | 218     |
| 15 | საანგარიშო წინაღობა                      | R <sub>0</sub> | კგმ/სმ <sup>2</sup> | 3.0     |

ფენის სიმტკიცის და დეფორმაციის ნორმატიული მაჩვენებლები გაანგარიშებულია მიღებულია “Методика оценки прочности и сжимаемости крупнообломочных грунтов с пылеватым и глинистым заполнителем и пылеватых и глинистых грунтов с крупнообломочными включениями. (ДальНИИС. Стройиздат 1989) მიხედვით. ფენის სიმტკიცის და დეფორმაციის ნორმატიული მნიშვნელობების განსაზღვრა მოცემულია დანართებში. საანგარიშო წინაღობა აღებულია ს.ნ. და წ. 2.02.01-83 ცხრილის მიხედვით და შესწორებულია ორმაგი ინტერპოლაციის მეთოდით შესაბამისი ფორმულის გამოყენებით. ფენის სიმძლავრე 1.0-დან 5.5 მეტრია. ფენა წყლიანია.

ფენა №4 – ზრეშოვანი გრუნტი თიხნარის შემავსებლით -  $aQ_{IV}$ , წარმოდგენილია მესამე ან მეოთხე ფენის სახით 0.4-7.6 მ სიღრმიდან. წარმოდგენილია ზრეშით და კენჭებით, თიხნარის შემავსებლით 35%-მდე, ფენის ნატეხური მასალის დედა ქანი ძირითადად დანალექი ქანებით არის წარმოდგენილი. ისინი კარგად დამუშავებული და დახარისხებულია. ფენის ფიზიკური თვისებების მახასიათებლები განსაზღვრულია სტაციონალურ ლაბორატორიაში, რომლებიც შეადგენენ: სიმკვრივე  $\rho = 2.0$  ტ/მ<sup>3</sup>, ბუნებრივი ტენიანობა  $W=10.2\%$ , გრანულომეტრიული შედგენილობა, მოცემულია ცხრ №3-ში, რომლის მიხედვითაც ფრაქციებში

2 მმ-ზე მსხვილი ფრაქცია 64.6%-ის ტოლია, რაც სნ და წ (პნ 02.01.-08) თანახმად ფენის გრუნტებს ზრეშოვან გრუნტებს განაკუთვანებს. შემავსებლის ფიზიკური თვისებებია: ტენიანობა ღენალობის ზღვარზე  $W_f=0.309$ ; ტენიანობა პლასტიკურობის ზღვარზე  $W_p=0.192$  პლასტიკურობის რიცხვი  $I_p=0.12$ (თიხნარი).

ცხრ. 3

| ფრაქციის<br>ზომა, მმ | >60.0 | 60.0 -<br>40.0 | 40.0 -<br>20.0 | 20.0 -<br>10.0 | 10.0 -<br>5.0 | 5.0 -<br>2.0 | 2.0 -<br>1.0 | 1.0-0.5 | 0.5-0.25 | 0.25-0.1 | < 0.1 |
|----------------------|-------|----------------|----------------|----------------|---------------|--------------|--------------|---------|----------|----------|-------|
| %                    | 3.7   | 21.6           | 19.9           | 11.6           | 4.9           | 2.9          | 2.0          | 2.6     | 3.1      | 1.6      | 20.9  |

ფენის სიმტკიცის და ღეფორმაციის ნორმატიული მაჩვენებლები გაანგარიშებით მიღებულია “Методика оценки прочности и сжимаемости крупнообломочных грунтов с пылеватым и глинистым заполнителем и пылеватых и глинистых грунтов с крупнообломочными включениями. (ДальНИИС. Стройиздат 1989) მიხედვით, რომლებიც შესაბამისად შეადგენენ: ხვედრითი შეჭიდულობა  $C = 0.17$  კგძ/სმ<sup>2</sup>, შიგა ხახუნის კუთხე  $\varphi_n = 25^0$ , ღეფორმაციის მოდული  $E = 339$  კგძ/სმ<sup>2</sup>, საანგარიშო წინაღობა  $R_0 = 4.0$  კგძ/სმ<sup>2</sup>. ფენის სიმტკიცის და ღეფორმაციის ნორმატიული მნიშვნელობების განსაზღვრა მოცემულია დანართებში. ფენის სიმძლავრე 3.7-4.1 მეტრამდეა. ფენა წყლიანია.

### 3. დასკვნები და რეკომენდაციები

1. ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის შენობათა კომპლექსისათვის გამოყოფილი მიწის ნაკვეთი მდგრადია და მშენებლობისათვის დამაკმაყოფილებელ საინჟინრო – გეოლოგიურ პირობებში იმყოფება.
2. გამოკვლეული უბანი განთავსებულია ნავთლუდი-ორხევის ვაკეზე, რომელიც აგებულია ზედაეოცენური ასაკის ( $E^3_2$ ) ქვიშაქვების და არგილიტების მორიგეობით და დაფარულია მეოთხეული ასაკის ალუვიური კენჭნარით, დელუვიურ-პროლუვიური თიხნარებით და ტექნოგენური გრუნტით. საფარი გრუნტების სიმძლავრე 20.0 მ – ზე მეტია.
3. გრუნტის წყლები გახსნილია 6.8 - 8.5 მ სიღრმეზე დედამიწის ზედაპირიდან. დამყარებული ღონეები 7.0 - 8.6 მ – ზე დაფიქსირდა (08.08.12). წყალი საშუალოდ აგრესიული სახ.სტანდარტის 10178-76 პორტლანტცემენტზე დამზადებული წყალშეუღწევადი  $W_4$  მარკის ბეტონის მიმართ. სუსტად აგრესიულია  $W_6$  და  $W_8$  მარკის ბეტონის მიმართ. არ არის აგრესიული სახ. სტანდარტის 10178-76 პორტლანტცემენტზე კლინკერში  $C_3S$  არა უმეტეს 65%,  $C_3A$  არა უმეტეს 7%,  $C_3A+C_4AF$  არა უმეტეს 22% და წიდაპორტლანტცემენტზე დამზადებული  $W_4$ ,  $W_6$  და  $W_8$  მარკის წყალშეუღწევადი ბეტონების მიმართ. არ არის აგრესიული არმატურის მიმართ რკინა – ბეტონის კონსტრუქციების მუდმივი დაძირვის დროს, სუსტად აგრესიულია პერიოდულად დასველების დროს. წყალი სანიტარულად დაბინძურებულია



4. უბანზე გეოლოგიურ-ლითოლოგიურ ჭრილში გრუნტების გენეზისის, სახეობის და ტექსტურულ-სტრუქტურული თვისების მიხედვით გამოიყოფა 3 საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი სგე (ნაყარი გრუნტი ფენა №1 მხედველობაში არ არის მიღებული): სგე-I - ფენა №2 თიხნარი, კენჭების იშვიათი ჩანართებით, სგე II ფენა №3 თიხნარი, ხრეშის და კენჭების ჩანართებით 30-35 % და ხრეშის შუაშრებით, სგე III ფენა №4 – ხრეშოვანი გრუნტი თიხნარის შემავსებლით. ცხრ. 5-ში მოცემულია ამ სგე-ების საანგარიშო მაჩვენებლები

ცხრ 5

| სგე № | $\rho$<br>ტ/მ <sup>3</sup> | C<br>კგძ/სმ <sup>2</sup> | $\varphi$<br>გრად. | E<br>კგძ/სმ <sup>2</sup> | Ro<br>კგძ/სმ <sup>2</sup> | პუასონის<br>კოეფ. $\mu$ |
|-------|----------------------------|--------------------------|--------------------|--------------------------|---------------------------|-------------------------|
| I     | 1.91                       | 0.26                     | 18                 | 141                      | 2.5                       | 0.35                    |
| II    | 1.94                       | 0.18                     | 21                 | 218                      | 3.0                       | 0.3                     |
| III   | 2.0                        | 0.17                     | 25                 | 339                      | 4.0                       | 0.27                    |

5. დასაპროექტებელი შენობების დაფუძნება შესაძლებელია განხორციელდეს სამივე სგე-ზე, მაგრამ თუ ნაგებობის კონტურში სხვადასხვა სგე-ს გრუნტები მოხვდნენ, არ არის გამორიცხული ფუძე გრუნტის შეცვლა.

6. ქვაბულის ფერდოს მაქსიმალური დასაშვები დახრა უბანზე გავრცელებული გრუნტებისათვის მიღებული უნდა იქნეს ს.ნ. და წ. 3.02.01-87-ის 3.11, 3.12, 3.15 პუნქტების გათვალისწინებით და ს.ნ. და წ. III-4-80 მე-9 თავის მიხედვით.

7. სნ და წ - “სეისმომდეგი მშენებლობა” (პნ 01.01.-09)–ის სეისმური საშიშროების რუკის დანართის მიხედვით ქ. თბილისი განეკუთვნება 8 ბალიან სეისმური საშიშროების ზონას, ხოლო უბნის ამგები გრუნტები სეისმური თვისებებიდან გამომდინარე, იმავე კრებული ცხრ. №1-ის მიხედვით განეკუთვნებიან II კატეგორიას.

8. უბნის ამგები გრუნტები დამუშავების სიძნელის მიხედვით ს.ნ. და წ. IV-5-82-ის ცხრ. №1-ის თანახმად განეკუთნებიან: ფენა №1 24 ა-ს; ფენა №2 33 –გ-ს; ფენა №3 33 გ-ს; ფენა №4 6 – ა-ს.

დასკვნა შეადგინა

ზ. ჩანტლაძემ

გრუნტების ლაბორატორიული კვლევების კრებისითი ცხრილი

| №  | ჭაბურღილის № | ნიმუშის აღების ინტერვალი, მ | ფრაქციის ზომა, მმ |             |             |             |            |           |           |         |          |          | ბუნებრივი ტენიანობა, W % | პლასტიკურობა |                               |                                | I <sub>L</sub><br>დენადობის მაჩვენებელი, | სიმკვრივე, გრ/სმ <sup>3</sup>        |                                        |              | ფორიანობა, n % | ფორიანობის კოეფიციენტი, e | ტენიანობის ხარისხი, S <sub>z</sub> | ფარდობითი გაჯირგება, E <sub>sw</sub> | გაჯირგების წნევა, P <sub>sw</sub> კგ/სმ <sup>2</sup> | ხვედრითი შეჭვივადობა, C კგ/სმ <sup>2</sup> | შეღა ხაზუნის კუთხე, φ გრად. | დეფორმაციის მოდული, E კგ/სმ <sup>2</sup> | გრუნტის აღწერა |                                       |
|----|--------------|-----------------------------|-------------------|-------------|-------------|-------------|------------|-----------|-----------|---------|----------|----------|--------------------------|--------------|-------------------------------|--------------------------------|------------------------------------------|--------------------------------------|----------------------------------------|--------------|----------------|---------------------------|------------------------------------|--------------------------------------|------------------------------------------------------|--------------------------------------------|-----------------------------|------------------------------------------|----------------|---------------------------------------|
|    |              |                             | > 60.0            | 60.0 - 40.0 | 40.0 - 20.0 | 20.0 - 10.0 | 10.0 - 5.0 | 5.0 - 2.0 | 2.0 - 1.0 | 1.0-0.5 | 0.5-0.25 | 0.25-0.1 |                          | < 0.1        | ზედა ზღვარი, W <sub>L</sub> % | ქვედა ზღვარი, W <sub>p</sub> % |                                          | პლასტიკურობის რიცხვი, I <sub>p</sub> | ძინერალური ნაწილაკების, ρ <sub>s</sub> | ბუნებრივი, ρ |                |                           |                                    |                                      |                                                      |                                            |                             |                                          |                | ჩინჩხის, ρ <sub>d</sub>               |
| 1  | ჭაბ-1        | 2.2-2.4                     |                   | 19.1        | 23.5        | 14.1        | 5.6        | 4.5       | 3.2       | 1.9     | 5.4      | 2.4      | 20.3                     | 10.5         | 30.3                          | 18.1                           | 12.2                                     | -0.62                                | 2.57                                   | 1.99         | 1.80           | 29.9                      | 0.427                              | 0.632                                |                                                      |                                            | 0.15                        | 24                                       | 357            | ზრეშოვანი გრუნტი თიხნარის შემავსებლით |
| 2  | ჭაბ-1        | 4.1-4.4                     |                   |             |             | 3.3         | –          | 0.9       | 1.7       | 5.7     | 9.2      | 6.1      | 73.1                     | 20.1         | 34.9                          | 18.2                           | 16.7                                     | 0.11                                 | 2.70                                   | 1.95         | 1.62           | 39.9                      | 0.663                              | 0.819                                | 0.19                                                 | 0.43                                       | 0.24                        | 18                                       | 139            | თიხნარი                               |
| 3  | ჭაბ-2        | 3.0-3.3                     |                   |             |             | 2.3         | 1.5        | 3.2       | 10.2      | 3.5     | 4.7      | 11.1     | 63.5                     | 20.3         | 33.2                          | 19.2                           | 14.0                                     | 0.08                                 | 2.69                                   | 1.92         | 1.60           | 40.7                      | 0.685                              | 0.797                                |                                                      |                                            |                             |                                          |                | თიხნარი                               |
| 4  | ჭაბ-3        | 3.7-3.9                     |                   |             |             |             | 2.1        | 1.4       | 2.3       | 6.5     | 7.9      | 8.6      | 71.2                     | 19.8         | 33.6                          | 17.2                           | 16.4                                     | 0.16                                 | 2.69                                   | 1.73         | 1.44           | 46.3                      | 0.863                              | 0.617                                | 0.16                                                 | 0.12                                       |                             |                                          | 142            | თიხნარი                               |
| 5  | ჭაბ-3        | 6.5-6.8                     |                   | 26.2        | 21.4        | 6.6         | 4.7        | 2.0       | 1.1       | 1.4     | 1.9      | 1.2      | 33.5                     | 11.8         | 37.7                          | 23.0                           | 14.7                                     | -0.76                                | 2.56                                   | 1.98         | 1.77           | 30.8                      | 0.445                              | 0.678                                |                                                      |                                            | 0.19                        | 24                                       | 335            | ზრეშოვანი გრუნტი თიხნარის შემავსებლით |
| 6  | ჭაბ-4        | 3.8-4.0                     |                   |             |             |             | 1.5        | 0.1       | 0.6       | 2.3     | 9.5      | 7.7      | 78.3                     | 16.5         | 31.5                          | 16.5                           | 15.0                                     | 0.00                                 | 2.70                                   | 1.91         | 1.64           | 39.3                      | 0.647                              | 0.689                                |                                                      |                                            | 0.25                        | 19                                       |                | თიხნარი                               |
| 7  | ჭაბ-4        | 7.2-7.5                     |                   | 18.0        | 11.7        | 9.5         | 5.1        | 3.0       | 2.3       | 9.6     | 4.1      | 1.9      | 34.8                     | 9.5          | 28.3                          | 15.6                           | 12.7                                     | -0.48                                | 2.70                                   | 2.01         | 1.84           | 32.0                      | 0.471                              | 0.545                                |                                                      |                                            | 0.23                        | 22                                       | 283            | თიხნარი ზრეშის ჩანართებით             |
| 8  | ჭაბ-4        | 9.3-9.5                     |                   |             |             | 5.4         | 2.0        | 1.5       | 1.2       | 5.4     | 8.2      | 5.7      | 70.6                     | 21.3         | 33.7                          | 16.9                           | 16.8                                     | 0.26                                 | 2.70                                   | 1.99         | 1.64           | 39.2                      | 0.646                              | 0.891                                |                                                      |                                            |                             |                                          |                | თიხნარი                               |
| 9  | ჭაბ-5        | 5.3-5.5                     |                   |             |             | 1.2         | 1.1        | 0.8       | 0.9       | 9.6     | 14.6     | 8.3      | 63.5                     | 16.7         | 31.4                          | 17.1                           | 14.3                                     | -0.03                                | 2.69                                   | 1.97         | 1.69           | 37.2                      | 0.594                              | 0.757                                |                                                      |                                            | 0.29                        | 17                                       |                | თიხნარი                               |
| 10 | ჭაბ-5        | 8.1-8.3                     |                   |             |             | 5.2         | 3.4        | 6.3       | 10.4      | 18.5    | 9.6      | 7.8      | 38.8                     | 19.8         | 39.9                          | 23.7                           | 16.2                                     | -0.24                                | 2.70                                   | 1.98         | 1.65           | 38.8                      | 0.634                              | 0.844                                |                                                      |                                            |                             |                                          |                | თიხნარი ზრეშის ჩანართებით             |
| 11 | ჭაბ-6        | 1.0-1.1                     |                   |             | 5.6         | 6.9         | 10.4       | 2.5       | 3.5       | 4.5     | 7.1      | 2.3      | 47.2                     | 26.7         | 35.5                          | 22.6                           | 12.9                                     | 0.32                                 | 2.70                                   | 1.82         | 1.44           | 46.8                      | 0.880                              | 0.820                                |                                                      |                                            | 0.12                        | 19                                       | 153            | თიხნარი ზრეშის ჩანართებით             |
| 12 | ჭაბ-6        | 4.2-4.5                     | 11.2              | 19.5        | 14.8        | 14.0        | 4.3        | 2.3       | 1.8       | 4.5     | 2.1      | 1.1      | 24.4                     | 8.3          | 24.7                          | 16.4                           | 8.3                                      | -0.98                                | 2.57                                   | 2.03         | 1.87           | 27.1                      | 0.371                              | 0.575                                |                                                      |                                            | 0.13                        | 26                                       | 387            | ზრეშოვანი გრუნტი თიხნარის შემავსებლით |

გრუნტის ძვრაზე გამოცდის შედეგები


|                  |               |              |                                                                                                                              |   |
|------------------|---------------|--------------|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|---|
| ადგილმდებარეობა: | ალექსეევკა №3 | პროექტი      | ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის შენობათა კომპლექსის პროექტი |   |
| გრუნტის აღწერა:  | თიხნარი       | ჭაბ./შურფი № | 1                                                                                                                            |   |
|                  |               | სიღრმე       | 4.1-4.4                                                                                                                      | მ |
|                  |               | თარიღი       | 8/20/2012                                                                                                                    |   |

| ვერტიკალური დატვირთვა, P<br>კგ/სმ <sup>2</sup> |       |      |    |      |  |
|------------------------------------------------|-------|------|----|------|--|
| ძვრის ძალა, $\tau$ 0.1მპა                      |       |      |    |      |  |
| შიდა სახუნის კოეფიციენტი, $\text{tg}\varphi^0$ |       |      |    |      |  |
| შიდა სახუნის კუთხე, $\varphi^0$                |       |      |    |      |  |
| შეჭიდულობა, C კგ/სმ <sup>2</sup>               |       |      |    |      |  |
| ბუნებრივ მდგომარეობაში                         |       |      |    |      |  |
| 1                                              | 0.490 | 0.33 | 18 | 0.24 |  |
| 2                                              | 1.050 |      |    |      |  |
| 3                                              | 1.150 |      |    |      |  |
|                                                |       |      |    |      |  |

| განსაზღვრულია          | ბუნებრივი ტენიანობა, W % | მინერალური ნაწ. სიმკვრივე, $\rho_s$<br>გ/სმ <sup>3</sup> | სიმკვრივე, გ/სმ <sup>3</sup> |                   | ფორიანობა, n % | ფორიანობის კოეფიციენტი, e | ტენიანობის ხარისხი, $S_r$ | პლასტიკურ<br>ობის<br>ზღვრები, % |              | პლასტიკურობის რიცხვი, $I_p$ | დენადობის მაჩვენებელი, $I_L$ |
|------------------------|--------------------------|----------------------------------------------------------|------------------------------|-------------------|----------------|---------------------------|---------------------------|---------------------------------|--------------|-----------------------------|------------------------------|
|                        |                          |                                                          | ბუნებრივის, $\rho$           | ჩონჩხის, $\rho_d$ |                |                           |                           | ზედა, $W_L$                     | ქვედა, $W_P$ |                             |                              |
| ბუნებრივ მდგომარეობაში | 20.1                     | 2.70                                                     | 1.95                         | 1.62              | 39.9           | 0.663                     | 0.819                     | 34.9                            | 18.2         | 16.7                        | 0.11                         |

გრანულომეტრიული შედეგნილობა, %

| ზვინჯა | ქვიშა    | მტვერი     | თიხა   |
|--------|----------|------------|--------|
| >2.0   | 2.0-0.05 | 0.05-0.005 | <0.005 |
| 4.2    | 22.7     | 73.1       |        |



გრუნტის ძვრაზე გამოცდის შედეგები


|                  |               |              |                                                                                                                              |   |
|------------------|---------------|--------------|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|---|
| ადგილმდებარეობა: | ალექსეევკა №3 | პროექტი      | ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის შენობათა კომპლექსის პროექტი |   |
| გრუნტის აღწერა:  | თიხნარი       | ჭაბ./შურფი № | 4                                                                                                                            |   |
|                  |               | სიღრმე       | 3.8-4.0                                                                                                                      | მ |
|                  |               | თარიღი       | 8/20/2012                                                                                                                    |   |

|                                                |       |                      |  |                                            |  |                                    |  |                                  |  |
|------------------------------------------------|-------|----------------------|--|--------------------------------------------|--|------------------------------------|--|----------------------------------|--|
| ვერტიკალური დატვირთვა, P<br>კგ/სმ <sup>2</sup> |       | ძვრის ძალა, τ 0.1მპა |  | შიდა სახუნის კოეფიციენტი, tgφ <sup>0</sup> |  | შიდა სახუნის კუთხე, φ <sup>0</sup> |  | შეჭიდულობა, C კგ/სმ <sup>2</sup> |  |
| ბუნებრივ მდგომარეობაში                         |       |                      |  |                                            |  |                                    |  |                                  |  |
| 1                                              | 0.600 | 0.35                 |  | 19                                         |  | 0.25                               |  |                                  |  |
| 2                                              | 0.950 |                      |  |                                            |  |                                    |  |                                  |  |
|                                                |       |                      |  |                                            |  |                                    |  |                                  |  |
|                                                |       |                      |  |                                            |  |                                    |  |                                  |  |

|                        |                          |                                                          |                              |                   |                |                           |                           |                          |              |                             |                              |
|------------------------|--------------------------|----------------------------------------------------------|------------------------------|-------------------|----------------|---------------------------|---------------------------|--------------------------|--------------|-----------------------------|------------------------------|
| განსაზღვრულია          | ბუნებრივი ტენიანობა, W % | მინერალური ნაწ. სიმკვრივე, $\rho_s$<br>გ/სმ <sup>3</sup> | სიმკვრივე, გ/სმ <sup>3</sup> |                   | ფორიანობა, n % | ფორიანობის კოეფიციენტი, e | ტენიანობის ხარისხი, $S_r$ | პლასტიკურობის ზღვრები, % |              | პლასტიკურობის რიცხვი, $I_p$ | დენადობის მაჩვენებელი, $I_L$ |
|                        |                          |                                                          | ბუნებრივის, $\rho$           | ჩონჩხის, $\rho_d$ |                |                           |                           | ზედა, $W_L$              | ქვედა, $W_P$ |                             |                              |
| ბუნებრივ მდგომარეობაში | 16.5                     | 2.70                                                     | 1.91                         | 1.64              | 39.3           | 0.647                     | 0.689                     | 31.5                     | 16.5         | 15.0                        | 0.00                         |

გრანულომეტრიული შედეგნილობა, %

|        |          |            |        |
|--------|----------|------------|--------|
| ზეინჯა | ქვიშა    | მტვერი     | თიხა   |
| >2.0   | 2.0-0.05 | 0.05-0.005 | <0.005 |
| 1.6    | 20.1     | 78.3       |        |





გერუნტის კომპრესიაზე გამოცდის შედეგები

|                  |                                                                                                                              |              |            |
|------------------|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|--------------|------------|
| პროექტი:         | ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის შენობათა კომპლექსის პროექტი |              |            |
| ადგილმდებარეობა: | ალექსეევკა №3                                                                                                                | ჭაბურღილის № | 1          |
| გერუნტის აღწერა: | თიხნარი                                                                                                                      | სიღრმე       | 4.1-4.4 მ  |
|                  |                                                                                                                              | თარიღი       | 20.08.2012 |

| განსაზღვრულია | ხელსაწყო № | ტენიანობა, W % | მინერალური ნაწილის სიმკვრივე $\rho_s$ გ/სმ³ | სიმკვრივე, გ/სმ³  |                   | ფორიანობა, n % | ფორიანობის კოეფიციენტი, e | ტენიანობის ხარისხი, Sr | პლასტიკურობის ზღვრები, % |                       | პლასტიკურობის რიცხვი, I <sub>p</sub> | ლენადობის ზღვარი, I <sub>L</sub> |
|---------------|------------|----------------|---------------------------------------------|-------------------|-------------------|----------------|---------------------------|------------------------|--------------------------|-----------------------|--------------------------------------|----------------------------------|
|               |            |                |                                             | ბუნებრივი, $\rho$ | ჩინჩხის, $\rho_d$ |                |                           |                        | ზღა, W <sub>L</sub>      | ქვედა, W <sub>P</sub> |                                      |                                  |
| ცდამდე        | 2          | 20.1           | 2.70                                        | 1.95              | 1.62              | 39.9           | 0.663                     | 0.819                  | 34.9                     | 18.2                  | 16.7                                 | 0.11                             |
| ცდის შემდეგ   | 2          | 23.5           |                                             | 1.98              | 1.65              | 38.9           | 0.638                     | 0.995                  |                          |                       |                                      | 0.32                             |



| გამოცდის პირობები       | დატვირთვა, P კგ/სმ² | ხელსაწყო № | აბსოლუტური დეფორმაცია, Δh მმ | ფარდობითი დეფორმაცია, $\frac{\Delta h}{h}$ | ფორიანობის კოეფიციენტი, e | ჩაჯდომის მოდული, L <sub>p</sub> | შეკუმშვის კოეფიციენტი, a კმ/სმ² <sup>-1</sup> | დეფორმაციის ლაბორატორიული მოდული, E კგ/სმ² | ემპირიული კოეფიციენტები |                | დეფორმაციის მოდული, E კგ/სმ² |
|-------------------------|---------------------|------------|------------------------------|--------------------------------------------|---------------------------|---------------------------------|-----------------------------------------------|--------------------------------------------|-------------------------|----------------|------------------------------|
|                         |                     |            |                              |                                            |                           |                                 |                                               |                                            | β                       | m <sub>0</sub> |                              |
| ბუნებრივ მდგომარეობაში  | 0                   | 2          | —                            | —                                          | 0.663                     | —                               | —                                             | —                                          | 0.62                    | 1.0            | —                            |
|                         | 1                   |            | 0.748                        | 0.037                                      | 0.601                     | 37                              | 0.062                                         | 26.74                                      |                         |                | —                            |
|                         | 2                   |            | 0.834                        | 0.042                                      | 0.594                     | 42                              | 0.007                                         | 223.86                                     |                         |                | 138.79                       |
| წყალნაჯერ მდგომარეობაში | 2                   |            | 0.912                        | 0.046                                      | 0.587                     | 46                              | —                                             | —                                          |                         |                | —                            |
